საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/110

ქ. ბათუმი --4-- სექტემბერი, 2018 წ.

2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №64 დადგენილების, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'' საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების (**გარდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების პირველი სემესტრის სტუდენტებისა**) მიერ სწავლის სემესტრული საფასურის გადახდა (**ადმინისტრაციული რეგისტრაცია**) შესაძლებელია განხორციელდეს **3 (სამ)** ეტაპად, შემდეგნაირად:

ა) I ეტაპზე - 2018 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით გადახდილი უნდა იქნეს არანაკლებ სემესტრული **სწავლის საფასურის 50%;**
ბ) II ეტაპზე – 2018 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით გადახდილი უნდა იქნეს არანაკლებ სემესტრული **სწავლის საფასურის 30%;**
გ) III ეტაპზე – 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სრულად უნდა დაიფაროს სემესტრული სწავლის საფასური (**დარჩენილი 20%**).

2. ბსუ-ში 2018 წელს ჩარიცხულმა პირებმა (შემდეგში **,,პირველი სემესტრის სტუდენტი“**) უნდა გაიარონ ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადონ პირველი სემესტრის სწავლის საფასური:

ა) I ეტაპზე, **ბაკალავრიატის სტუდენტებმა 2018 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით,** ხოლო **მაგისტრატურის სტუდენტებმა 2018 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით -არანაკლებ 800 ლარი** (70%-იანი გრანტის მფლობელებმა -300 ლარი, ხოლო 50%-ინი გრანტის მფლობელებმა - 500 ლარი);
ბ) **II ეტაპზე** (2018 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით) და **III ეტაპზე** (2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) სწავლის საფასურის დარჩენილი ნაწილი უნდა დაფაროს **თანაბარწილადი შენატანით.**

3. **პირველი სემესტრის სტუდენტი, მის მიერ წინამდებარე ბრძანების მე-2 პუნქტით დადგენილი ოდენობით და ვადებში სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში** ვერ შეძლებს აკადემიური რეგისტრაციის განხორციელებას და შემდეგში ბსუ-ს სასწავლო პროცესში მონაწილეობას (სისტემაში სტუდენტის პროფილი დროებით, ავტომატურად დაიკეტება).
4. სწავლის საფასურის გადახდა იწარმოებს შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 7 0901 7289 - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასური; დანიშნულებაში უნდა მიეთითოს: სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფაკულტეტი, სპეციალობა, კურსი.
5. იმისათვის, რომ გადახდილი სწავლის/კრედიტების საფასური ავტომატურად აისახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას ბანკში საბილინგო სისტემა. გადახდა ასევე შესაძლებელია სწრაფი ჩარიცხვის აპარატებისა და ელექტრონული გადახდების სისტემებიდან.
6. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს სტუდენტურ პორტალზე და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**